პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი 29 ნოემბერი 1941 წ. № 283 (6288) ფასი 15 კაპ.

დაუცხრომლად ვჭედოთ წითელი არმიის საბრძოლო რეზერვები

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სსრ კავშირის ხალხთა დიდი სამამულო ომი გადამწყვეტ ფაზაში შედის. ომის გამოცდილებითა და ომის მატერიალურ საშუალებათა წარმოებაში მოპოვებულ მიღწევათა საფუძველზე უმჯობესდება ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაცია და საომარი მოქმედების ხერხები.

ლის გადამწყვეტი დღეები. არ შევაბილწვინოთ მძვინვარე მტერს მოსკოვი, ამისათვის არ დავზოგოთ არც ჩვენი სისხლი, არც თუნდაც სიცოცხლე და დავიცვათ მშობლიური მოსკოვი — ამ აზრით არიან აღფრთოვანებულნი მოსკოვის გმირი დამცველები, რომელთა საგმირო საქმენი სამუდამოდ დარჩება ისტორიაში.

პირობა უნდა იყოს. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლების მონაწილეთა გამოცდილება. ისინი ჯარების მებრძოლი მასწავლებლები და აღმზრდელები უნდა იყვნენ. მათ უნდა შეასწავლონ მებრძოლებს ის, რაც საჭიროა ომში.

...

საფრთხის წინაშე. ის გარემოება, რომ მოსკოვთან მდგომარეობა უფრო სერიოზული გახდა, დედაქალაქის სახელოვან დამცველებს აიძულებს კიდევ უფრო მეტად დაძაბონ მთელი თავიანთი ძალ-ღონე, მთელი მამაცობა და ნებისყოფა დიადი ქალაქის დასაცავად და თავხედი და სისხლისმწყურვალი მტრის უკუსაგდებად.

მტერი ჯერ კიდევ მოისწრაფის წინ. დადგა მოსკოვისათვის დიადი ბრძო-

სიძნელეებს, გამოაწრთონ მათი ნერვები და გაწრთვნან ფიზიკურად, რათა მებრძოლები ვერავითარმა გაჭირვებამ ვერ შეაშინოს, რათა მათ არ ეშინოდეთ არც სიცივისა, არც ქარბუქისა და არც მტრის გრიგალისებური ცეცხლისა.

ომმა სამხედრო საქმეში მრავალი ახალი რამ შეიტანა და კვლავ შეაქვს. ბრძოლის გამოცდილების შესწავლა ჯარების მომზადების აუცილებელი

...ვაჩეროთ მტრის წინსვლა, არ შევუშვათ იგი ჩვენს მშობლიურ მოსკოვში. მტრის შესამუსრავად დღითიდღე უფრო და უფრო გაიშლება სრული მოცულობით საბჭოთა კავშირის მძლავრი რეზერვები, გამოიჭედება საჭურვლის ახალი მასები. მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი და მისი წითელი არმია ომს მხოლოდ მტრის სრული განადგურებით დაამთავრებენ!

„პრავდის" მოწინავე, 28/XI.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

28 ნოემბრის დილის ცნობა

27 ნოემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე.

* * *

სამხრეთის ფრონტზე მოქმედმა ჩვენმა მფრინავებმა ერთ დღეში მოსპეს გერმანელთა 10 ტანკი, 300-ზე მეტი ავტომანქანა ქვეითი ჯარითა და სამხედრო მასალით, 90 საზიდარი სამხედრო ტვირთი, 9 საველე ქვემეხი და გაჟლიტეს მოწინააღმდეგის 1000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 2 თვითმფრინავი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე მოქმედი ერთი საზენიტო ნაწილის მებრძოლებმა 2 დღეში ჩამოაგდეს გერმანელთა 4 ბომბდამშენი. ამავე პერიოდში იმ ქვეგანაყოფის მეზენიტეებმა, სადაც სამხედრო კომისრად ამხ. სმირნოვია, ქვემეხით გასწყვიტეს მტრის 150-მდე ჯარისკაცი.

ცი და ოფიცერი. ბრძოლის შედეგად ხელთ იგდეს გერმანელთა 2 ტყვიამფრქვევი და 2 ნაღმსატყორცნი.

* * *

სამხრეთის ფრონტზე ჩვენი ჯარის ნაწილებს ტყვედ დანებდა უნგრელი ჯარისკაცების ჯგუფი. ტყვეებმა დაკითხვაზე განაცხადეს, რომ ბევრ უნგრელ ჯარისკაცს არა სურს იომოს მათთვის უცხო ინტერესებისათვის. უნგრეთის 1-ლი მოტორიზებული ბრიგადის მზვერავი ბატალიონის ტყვე ჯარისკაცმა იანოშ კოვაჩმა განაცხადა: „ბევრი ვიფიქრე იმაზე, თუ რატომ ომობს უნგრეთი რუსეთის წინააღმდეგ და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჰორტიმ ერთიანად მიგვყიდა ჰიტლერს. უნგრელ ჯარისკაცებს არავითარი სურვილი არა აქვთ იომონ რუსების წინააღმდეგ გერმანიის ინტერესებისათვის, მაგრამ ჩვენ ძალით გვერეკებიან ფრონტზე. ერთი თვის წინათ ჩვენს ბატალიონში ერთმა შოფერმა, რომელსაც გზის განგრძობა...

...სიცივე ძლიერ დაეტყო უნგრელ ჯარისკაცთა ბრძოლისუნარიანობას. ყოველდღე მატულობს დაავადების რიცხვი. თითქმის ყველა ჯარისკაცი გაცივებულია".

...მოსპეს 69 გერმანელი ჯარისკაცი.

28 ნოემბრის საღამოს ცნობა

28 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან ყველა ფრონტზე.

27 ნოემბრის განმავლობაში მოსპობილია გერმანიის 39 თვითმფრინავი. ჩვენ 12 თვითმფრინავი დავკარგეთ.

28 ნოემბრის განმავლობაში მოსკოვთან ჩამოგდებულია გერმანიის 19 თვითმფრინავი.

* * *

27 ნოემბრის განმავლობაში ჩვენმა ავიაციამ, არასრული ცნობებით, მოსპო გერმანელთა 176 ტანკი, 1.150-მდე ავტომანქანა ჯარითურთ, 40 ქვემეხი, ყუმბარებით დატვირთული 430-ზე მეტი საზიდარი, 10 ავტოცისტერნი საწვავი, ააფეთქა საომარი მასალის საწყობი და მოსპო 2 პოლკამდე მტრის ქვეითი ჯარი.

* * *

ამხ. ზაშიბალოვის ნაწილის ქვეგანაყოფებმა, რომელიც დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებს, მტერთან გააფთრებულ ბრძოლაში მოსპო 850 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, საომარი მასალით დატვირთული 19 ავტომანქანა და ხელთ იგდო 19 ტყვიამფრქვევი, 2...

...მოიყვანა 60 დაჭრილი მებრძოლი იარაღითურთ.

* * *

ამხანაგ ი-ას პარტიზანულმა რაზმმა, რომელიც მტრის ზურგში მოქმედებს ფრონტის ვოლოკოლამსკის მიმართულებით, 5 დღის განმავლობაში გერმა-

ნელებს წაართვა სურსათით დატვირთული 6 ალალი. 69-ე მექანიზებული პოლკის გერმანელმა ჯარისკაცებმა ოტო კრინვალდმა, რუდოლფ მერკლერმა და ჰანს ფაილემ, რომლებიც ჩვენმა ნაწილებმა ტყვედ ჩაიგდეს, განაცხადეს, რომ პარტიზანების თავდასხმა ალალებზე მნიშვნელოვნად აუარესებს გერმანელ ჯარისკაცთა ისედაც ცუდ მომარაგებას. ფაშისტური ჯარის ნაწილების მეთაურები იძულებული არიან მთელი ქვეგანაყოფები გამოჰყონ სამზარეულოებისა და ალალების დასაცავად. ჩინებულად მოქმედებდნენ ამხანაგ ა-ს პარტიზანული რაზმის მებრძოლები. ტყის მახლობლად შესაკეთებლად გაჩერდა გერმანელთა 2 ტანკი. შებინდებისას პარტიზანები მიეპარნენ ტანკისტებს, დახოცეს ისინი და ტანკების შიგნით გადაგდებული რამდენიმე ხელყუმბარით დაანგრიეს მანქანები. წასვლისას პარტიზანებმა გზის უბანი დანაღმეს. ღამით გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფი ნაღმებს წააწყდა და აფეთქდა. ამავე რაზმმა საფარიდან სროლა აუტეხა გერმანიის ქვეითი ჯარის ავტოკოლონას. ფაშისტებმა დიდი ზარალი ნახეს.

...კოლმეურნეობის ორი ბრიგადირი დააპატიმრეს იმისათვის, რომ მათ უარი სთქვეს ეცნობებინათ ფაშისტთა ხელისუფლებისათვის თუ ვის აქვს პური და თბილი ნივთები. 2 დღის შემდეგ ბრიგადირთა დასახიჩრებული გვამები სოფლის განაპირა უბანში იპოვნეს.

გერმანელებისაგან ბრძოლით დავიბრუნეთ ორი დასახლებული პუნქტი

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი, 26 ნოემბერი (ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან). ფრონტის ჩრდილოეთ უბნის ერთ-ერთი მიმართულებით ამხ. კრეიზერის ნაწილები მედგარ ბრძოლას განაგრძობენ მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების წინააღმდეგ. მოგერიებულია მტრის რამდენიმე ძლიერი იერიში. რამდენიმე პუნქტში ჩვენი ნაწილები რამდენჯერმე გადავიდნენ კონტრიერიშზე და გერმანელები გარეკეს ორი დასახლებული პუნქტიდან.

მოწინააღმდეგემ დაჰკარგა 5 ტანკი, 12 ავტომანქანა და 250 კაცი — მოკლული და დაჭრილი.

მეორე რაიონში, დასახლებულ პუნქტზე გერმანელების მიერ იერიშის მოტანის შედეგად, ბრძოლა გაიმართა ქუჩებში. შედეგი ჯერ არ გამორკვეულა.

ამხ. ციგანოვის ნაწილებმა 24 ნოემბრის ბრძოლაში მოსპეს კიდევ 300 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

(27 ნოემბრის „კრასნაია ზვეზდა").

განთავისუფლებულ ქალაქში

ჯარებმა წინ წაიწიეს. დამთავრდა პირველი ეტაპი ერთი ოპერაციისა, რომელსაც ჩვენი ჯარის ნაწილები წარმატებით ატარებდნენ. მტერი იძულებული იყო დაეტოვებინა ქალაქი მალაია ვიშერა და მთელი რიგი მოსაზღვრე სოფლები. გერმანელებს ვერც მათ მიერ შექმნილმა სიმაგრეებმა, ვერც გრიგალისებურმა ცეცხლმა და ვერც მთვრალთა „ფსიქიურმა იერიშებმა" ვერ უშველეს. ამხ. კლიკოვის მებრძოლნი 8 დღის განმავლობაში მეთოდურად ანადგურებდნენ გერმანელებს და განდევნეს ისინი. გერმანელთა დანაკლისი დიდია. სულ ცოტა 3.000 ფაშისტი დამპყრობი იქნა დახოცილი მალაია ვიშერასთან გაჩაღებულ ბრძოლებში. მარტო ჩვენმა მფრინავებმა 1000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს. გერმანელთა 126-ე ქვეითი დივიზია განადგურებულია. ჩვენი ჯარები ქალაქის დაკავების შემდეგ განაგრძობენ წარმატების განვითარებას.

არმიელები, რამდენიმე კაცი ცეცხლში შეაგდეს, 5 კაცი ხანჯლით აჰკუწეს. გერმანელები ტყვე დაჭრილ წითელარმიელებს მთელ ზედა ტანისამოსსა და ჩექმებს ხდიდნენ. დაბა ნოვი პუტში, სადაც „სს" რაზმი იდგა, ჩვენმა მებრძოლებმა განაწამებ ტყვე წითელარმიელთა გვამები იპოვნეს. 5 დაჭრილი ფაშისტებმა კოცონზე დასწვეს. მალაია ვიშერაში, მე-3 განივი ქუჩის № 17 სახლში, რამდენიმე დაჭრილი წითელარმიელი ცივ შენობაში შეაგდეს. მათ არავითარ სამედიცინო დახმარებას არ უწევდნენ და საჭმელს არ აძლევდნენ. წასვლის ცოტა ხნით ადრე გერმანელებმა ეს წითელარმიელები დახვრიტეს.

ქალაქის მცხოვრებნი არაერთხელ არღვევდნენ ფაშისტთა სატელეფონო კავშირს, სწყვეტდნენ მავთულებს. ამის პასუხად გერმანელთა სარდლობამ ქალაქის მოსახლეობაში 8 მძევალი შეარჩია (მათ შორის—3 ბავშვი 10-12 წლისა) და გამოაცხადა, თუ სამი დღის ვადაში არ აღმოაჩენთ იმათ, ვინც კავშირგაბმულობა გააფუჭა, მძევლები დახვრეტილ იქნებიანო. შემდეგ მძევ-...

* * *

აი ქალაქიც. ჩამოგლეჯილი სახურავები, მოორღვეული, უმინო ფანჯრის...

...

ა. კალინიჩენკო, ი. მილიჩინი

სამხრეთის ფრონტზე

სამხრეთის ფრონტი, 26 ნოემბერი („პრავდის" სპეცკორისაგან). სამხრეთის ფრონტის სხვადასხვა უბნებზე გრძელდება გააფთრებული ბრძოლები მტრის მიერ ახლადგამოყვანილი ძალების წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის გმირ ამხანაგ შეპეტოვის ნაწილი არ აძლევს მათ დამკვიდრების საშუალებას და ბრძოლით მიიწევს წინ, ამასთან დიდ ზარალს აყენებს მოწინააღმდეგეს. წარმატებით მოქმედებს მეთაურ ფილიპოვის ნაწილი, რომელმაც დაამარცხა მტერი ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტთან.

ფრონტის მეორე უბანზე იმ ნაწილმა, რომელსაც ამხ. შარიგინი მეთაურობს, ორი დასახლებული პუნქტი წაართვა გერმანელებს. მეორე ნაწილი დაძაბულ ბრძოლას ეწეოდა, რის შედეგადაც დაიკავა პუნქტი მ. მოწინააღმდეგემ უკან დაიხია, ბრძოლის ველზე დასტოვა დიდძალი მოკლული და დაჭრილი და იარაღი დაჰკარგა. გერმანელმა დამპყრობებმა, სანამ პუნქტ ბ-ს დასტოვებდნენ, გამორეკეს მთელი მოსახლეობა და სოფელს ცეცხლი წაუკიდეს. დაიწვა 1.000-ზე მეტი სახლი და მთელი ქონება.

უკანასკნელ დღეებში აქტიურად მოქმედებდა იმ ნაწილის ავიაცია, სადაც კომისრად ალექსეევი არის. უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში ამ ნაწილის მფრინავებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 54 თვითმფრინავი, მოსპეს 70 ტანკი, 19 ტანკეტი, 30 ქვემეხი, 1.646 ავტომანქანა, მათ შორის მანქანები, რომლებშიც ადამიანები იყვნენ და გაანადგურეს 7.000-მდე ჯარისკაცი.

გერმანელთა დიდი დანაკლისი

კალინინი, 26 ნოემბერი (ტელეფონით). დღეს, ცუდი ხილვადობის მიუხედავად, ჩვენმა მფრინავებმა დაბომბეს მტრის თავმოყრილი ჯარები. მოსპობილია 20-მდე ტანკი, 45 ავტომანქანა, გაჟლეტილია რამდენიმე ასი ფაშისტი დამპყრობი. ჩვენი ნაწილები მთელ რიგ უბნებზე ხანმოკლე იერიშით ქანცავენ გერმანელებს, აიძულებენ მათ ყინვაში გამოვიდნენ.

ამ უკანასკნელ დღეებში გერმანელები არ იჩენენ განსაკუთრებულ აქტივობას. ეს პასიურობა იმ დიდი ზარალით აიხსნება, რომელიც მტერს კალინინის რაიონში მოსდის. დეკადის განმავლობაში ს-ს რაიონში გერმანელებმა 5.000 ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს მოკლულთა სახით. ტ-ს რაიონში ჩვენმა ჯარებმა დეკადის განმავლობაში 8.500 გერმანელი დამპყრობი გაჟლიტეს.

მეთაურ ამხ. ზაიცევის უბანზე, რომელიც წარმატებით ბრძოლას ეწევა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, შენიშნეს, რომ გერმანელები უკან დახევის დროს სწვავენ მოკლულ და მძიმედ დაჭრილ ჯარისკაცებს.

მ. მოცენოკი.

(„პრავდა", 27 ნოემბერი).

გააფთრებული ბრძოლები ტულის მიმართულებით

ტულა, 26 ნოემბერი („პრავდის" სპეც. სამხედრო კორესპონდენტისაგან). ტულის მიმართულების ჩრდილოეთ - აღმოსავლეთ უბანზე ბრძოლა წინანდებური გააფთრებით გრძელდება. მტერმა დაიკავა პუნქტი ვ., მო-...

...კისტებმა ხელთ იგდეს ავტობუსი შტაბის ოპერატიული დოკუმენტებითურთ. ფაშისტებმა ვადასწრებულ დაიბრუნებინათ თავისი დოკუმენტები, და ჩვენს ტანკისტებს 3 ტანკი დაადევნეს. გაჩაღდა ხანმოკლე ბრძოლა, რომ-...

...

ვ. ისაკოვი.

მე კვლავ ფრონტზე ვიქნები

...

სახელოვანი ინგლისელი მფრინავები

საჰაერო მეთვალყურეობის საგუშაგოებმა გვაცნობეს, მურმანსკს მტრის თვითმფრინავები უახლოვდებიანო. ჩვენი მორიგე ავიაგამანადგურებლები დაუყოვნებლივ აფრინდნენ და დასავლეთისაკენ გაემართნენ. მათ სხვა რგოლებიც მიჰყვნენ.

მალე გამოჩნდა ფაშისტთა თვითმფრინავების პირველი ეშელონი. წინ მოფრინავდნენ „მესერშმიტი" ავიაგამანადგურებლები. ჩვენი შევარდნები მტერს ეკვეთნენ. დაიწყო საჰაერო ბრძოლა. აი ცეცხლი გაუჩნდა მტრის ერთ თვითმფრინავს და ქვასავით დაეცა ძირს. დანარჩენები უკუიქცნენ.

განვლო რამდენიმე წუთმა. საზენიტო ცეცხლმა გვამცნო მტრის შემდეგი ეშელონის მოახლოება. ამჯერად ქალაქზე „იუნკერს" ბომბდამშენთა ჯგუფი მოდიოდა. მათ მჭიდროდ შეკრული მწყობრი საზენიტო ქვემეხების ზუსტმა და მარჯვე სროლამ დაარღვია. არტილერისტებმა ორი ძერა ჩამოაგდეს, შემდეგ კი ფაშისტთა თვითმფრინავების გუნდში შეიჭრნენ საბჭოთა ავიაგამანადგურებლები და მძლავრი ინგლისური „ჰარიკეინები".

გააფთრებულ საჰაერო ბრძოლაში მტერს მეტად ცუდი დღე დაადგა. საბჭოთა და ინგლისელი მფრინავები გაბედულად, მტკიცედ და ოსტატურად იბრძოდნენ, ერთმანეთს დახმარებას უწევდნენ ჰაერში. მტრის მანქანები ხან აქ ვარდებოდა მიწაზე და ხან ზღვის ყურეში, ხან იქ. ფაშისტები ქალაქთან არ მოუშვეს. გერმანელთა რაზმმა თავისი მორიგი მასობრივი თავდასხმის დროს 8 თვითმფრინავი დაჰკარგა და იძულებული გახდა უშედეგოდ გაბრუნებულიყო დასავლეთისაკენ.

განაპირა ჩრდილოეთში მოქმედი ჩვენი ავიაცია ინგლისის ავიაციასთან ერთად ბატონობს იქ ჰაერში. ფაშისტმა მფრინავებმა მწარე გამოცდილებით ჭკუა ისწავლეს და უკანასკნელ ხანს თითქმის შესწყვიტეს ფრენა იმ რაიონებში, სადაც საბჭოთა ავიაგამანადგურებლები ან ინგლისური „ჰარიკეინები" გამოჩნდებიან ხოლმე. ჩრდილოეთში გერმანიის ავიაციასთან საჰაერო ბრძოლებში განსაკუთრებით ისახელეს თავი მფრინავებმა — ბრიტანეთის სამეფოს საჰაერო ფლოტის პოლკოვნიკმა ნ. ლ. იშერვუდმა, მაიორმა ე. ს. რუკმა, მაიორმა ე. ნ. მილერმა და სერჟანტმა ჩ. ფ. ჰოუმ. პოლკოვნიკ იშერვუდის ჯგუფმა ჩამოაგდო ფაშისტთა 15 თვითმფრინავი, მაიორ რუკის ესკადრილიამ — 13 თვითმფრინავი. თვითონ ინგლისელი მფრინავები აქტიურად მონაწილეობდნენ ბრძოლებში.

პოლკოვნიკ ნ. ლ. იშერვუდის ავიაგამანადგურებელი მუდამ იქ ჩნდებოდა, სადაც მტერი ყველაზე უფრო ძლიერი იყო და ვერაგობას იჩენდა. ჩინებულმა მფრინავმა, საუცხოო მსროლელმა და მამაცმა ადამიანმა პოლკოვნიკმა იშერვუდმა რამდენიმე ეფექტიანი გამარჯვება მოიპოვა ჰაერში. მტერთან შებმის პირველ დღეებშივე მან ფაშისტთა 3 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

მაიორები — ე. ს. რუკი და ე. ნ. მილერი მუდამ უნარიანად ითრევდნენ ბრძოლაში მტერს, სწრაფად და ეფექტიანად აბოლოებდნენ ბრძოლას გამარჯვებით. იშვიათად თუ გადაურჩებოდა მათ მოწინააღმდეგე. მჭრელი თვალი, გულადობა, გამძლეობა და უნარიანობა გამოიჩინა სერჟანტმა ჩ. ფ. ჰოუმაც, რომელსაც თავის უფროს ამხანაგებზე ნაკლები რაოდენობით არ ჩამოუგდია ფაშისტების მანქანები.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სამაგალითოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ლენინის ორდენით დააჯილდოვა პოლკოვნიკი ნ. ლ. იშერვუდი, მაიორი ე. ს. რუკი, მაიორი ე. ნ. მილერი და სერჟანტი ჩ. ფ. ჰოუ.

სალამი სახელოვან ინგლისელ მფრინავებს!

მე-2 რანგის კაპიტანი ე. კრილოვი

მოქმედი არმია.

უკანასკნელი ცნობები

სტიმსონისა და ბერნსის განცხადება

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრმა სტიმსონმა განაცხადა, რომ ამჟამად გერმანელები ფინეთის ჯარს იყენებენ თავიანთი აგრესიის მიზნებისათვის აღმოსავლეთის ფრონტის ჩრდილოეთის უბანზე.

„სამწუხაროა,—სთქვა სტიმსონმა, — რომ ფინეთის არმია ურიგდება ასეთი მდგომარეობის განგრძობას. ეს არა...

რომელიც ზიანს აყენებს ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს".

სესხად ან იჯარით საჭურვლის გადაცემის კანონის განხორციელების რწმუნებულის მოადგილემ, ამერიკის მისიის წევრმა მოსკოვში სამი სახელმწიფოს კონფერენციაზე გენერალ მაიორმა ბერნსმა, აგრეთვე განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ ფინეთი „დიდ დახმარებას უწევს გერმანიას, რაც ეწინააღმდეგება ჩვენს ნაციონალურ ინტერესებს...

იაპონია-ამერიკის მოლაპარაკების გამო

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი (საკდეს). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის გადმოცემით, ჰალიფაქსი მთელი საათის განმავლობაში ესაუბრა ჰელს მას შემდეგ, რაც მან ჰელს წარუდგინა ინდოეთის პირველი დიპლომატიური წარმომადგენელი ამერიკის შეერთებულ შტატებში შანკარ ბაჯპაი (დღემდე ინდოეთს ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი წარმომადგენელი არა ჰყოლია). ჰალიფაქსმა განაცხადა, ახალი ინფორმაცია მივიღეო.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს აზრით, ეს საუბარი დაკავშირებულია ამერიკის პასუხ-...

ძლიერი ბომბი ...

ზაზანი, 27 ნოემბერი (საკდეს). ...

პარტიული ცხოვრება

ᲦᲠᲛᲐᲓ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲡ

ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის 6 ნოემბრის ისტორიულმა მოხსენებამ უსაზღვრო აღფრთოვანება და ენტუზიაზმი გამოიწვია ხულოს რაიონის მშრომელებში.

ვიმუშავებთ კიდევ უფრო თავდადებულად, კიდევ უფრო მეტად გავაძლიერებთ დახმარებას წითელი არმიისა და წითელი ფლოტისადმი მტერზე საბოლოო გამარჯვების უზრუნველსაყოფად. ასეთია ხულოელ მშრომელთა ერთსულოვანი პასუხი დიდი სტალინის მოწოდებაზე.

კოლმეურნე გლეხობა უდიდეს ინტერესს იჩენს ბელადის მოხსენებისა და სიტყვისადმი, რომლებშიც მოცემულია ომის მიმდინარეობის ღრმა ანალიზი და დასახულია კაცობრიობის ფაშისტებზე გამარჯვების ამოცანები. კოლმეურნეთა მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ლიმიტს ზევით რაიონმა მიიღო 1.500 ცალი საოლქო და რესპუბლიკური გაზეთი, რომლებშიც გამოქვეყნებულია ამხანაგ სტალინის მოხსენება და სიტყვა. დიდძალი რაოდენობით იქნა აგრეთვე მიღებული გაზეთ „კომუნისტის" ფურცლები. ისინი განაწილდა სასოფლო საბჭოებს.

საქ. კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომმა გადადგა პირველი ნაბიჯები მშრომელი მოსახლეობის მიერ ბელადის მოხსენებისა და სიტყვის ღრმად შესწავლის უზრუნველსაყოფად. ეს საკითხი განხილულ იქნა პარტიის რაიკომის ბიუროს სპეციალურ სხდომაზე. ბიურომ დაამტკიცა მომხსენებლები და დაავალა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებსა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ აგიტატორებისა და წამკითხველ-მესაუბრეთა საშუალებით ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და სიტყვის თვითეული მშრომელის მიერ გაცნობა-შესწავლა.

10 ნოემბერს რაიონის 75 კოლმეურნეობაში მშრომელთა მასობრივ მიტინგებსა და კრებებზე მოეწყო ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და სიტყვის წაკითხვა. ეს მიტინგები და კრებები გადაიქცა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, მშობლიური ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი ხულოს რაიონის მშრომელთა უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების ახალ ბრწყინვალე დემონსტრაციად. ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციებში ხულოელი კოლმეურნეები ფიცს სდებენ, რომ დიდი სტალინის მოწოდების საპასუხოდ ყოველსავე შესაძლებელს გააკეთებენ წითელი არმიის დასახმარებლად, რათა მალე იქნან განადგურებული გამხეცებული ფაშისტი იმპერიალისტები.

დიდი პოლიტიკური აღმავლობით ჩატარდა ბელადის მოხსენებისადმი მიძღვნილი მიტინგი სოფელ დეკანაშვილების მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში. ეს კოლმეურნეობა რაიონის ერთერთი მოწინავე კოლმეურნეობაა. დიდი ოქტომბრის სახელოვან წლისთავს იგი შეხვდა თამბაქოს დამზადების ოქტომბრის გეგმის გადაჭარბებით შესრულებით. კოლმეურნე — სტახანოველებმა ვალდებულება აიღეს, რომ დიდი სტალინის მოწოდების საპასუხოდ თამბაქოს დამზადების ნოემბრის გეგმას ორმაგად შეასრულებენ.

ახალი კონკრეტული საბრძოლო ვალდებულებანი აიღეს სოფელ დიოკნისის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ხუსია ძირკვაძემ, ისაკ კახაძემ, ალი საგინაძემ და სხვებმა.

ბელადის მოწოდების საპასუხოდ რაიონის კოლმეურნეები საომრო ყაიდაზე აწყობენ თავიანთ მუშაობას. რაიონის ყველა კოლმეურნეობაში დამთავრებულია სიმინდის, თამბაქოსა და კარტოფილის მოსავლის აღება. ვადაზე ადრე და გადაჭარბებით იქნა შესრულებული სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმები.

დიდი სტალინის ბრძნული მოხსენებით შეიარაღებული ხულოს რაიონის მშრომელი მოსახლეობა კიდევ უფრო თავდადებულად იმუშავებს ფრონტის ინტერესებისათვის, ვერაგ და ცბიერ მტერზე გამარჯვებისათვის.

შ. ჟანუყვაძე

საქ. კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი.

სტალინური კონსტიტუციის დღის შესახვედრად

ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘ

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივი თავდადებულად მუშაობს, რათა 1 დეკემბრისათვის შეასრულოს წლიური გეგმა. ეს ვალდებულება ქარხნის სახელოვანმა კოლექტივმა ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და სიტყვის გაცნობისას აიღო. იმ დღესვე დაიწყო ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის თავდადებული ბრძოლა.

ამწყობი საამქროს ორასოვანი სტახანოველები ამხ. ამიროვი, ბორზილოვი, ზუბიევი, აკოფოვი, სალონინი, ეშმაკურაშვილი და სხვები ყოველდღიურ დავალებებს 300-400 პროცენტით ასრულებენ. გმირული შრომით ეხმარებიან ფრონტს მჭედლები ამხ. ვიტუხინი, ჯარიაშვილი, ილურიძე, გუგულაშვილი, აბზიანიძე. ისინი დავალებას 350 პროცენტით ასრულებენ და ყოველთვის მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევიან.

საქვაბე საამქროს ორასოვანი ხარატი ამხ. მარია სევასტიანოვა, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ დამლაგებელი იყო, ახლა მაღალკვალიფიციური მუშაა. ბელადის სიტყვის საპასუხოდ დავალების 300 პროცენტით შესრულება იკისრა. იგი წარმატებით ასრულებს ვალდებულებას. ცნობილი სტახანოველი მექვაბეები ამხ. მ. გეწაძე და ი. ბაბაევი გმირულად შრომობენ, დავალებას 400-500 პროცენტით ასრულებენ. მათ ამ დღეებში შემოიტანეს შესანიშნავი წინადადებები, რომლებიც დიდძალ ეკონომიას აძლევენ წარმოებას.

ელექტროშემდუღებელ საამქროში ორასოვანთა რიცხვი გაიზარდა. ელექტროშემდუღებლები ამხ. ს. მხილაძე, ალ. გვიაშვილი, ნ. დემეტრაშვილი, სოსნენკო, ბორჩუკოვი და სხვები დავალებას ორ-სამმაგად ასრულებენ, აგრეთვე დიდძალ საწვავ მასალასა და ფერად ლითონს ზოგავენ.

ᲓᲔᲞᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲗ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ

თბილისის სორთქლმავლო დეპოს კოლექტივი ახალი საგმირო საქმეებით უპასუხებს დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მოწოდებას. სამამულო ომის დღეებში ორასოვანი გახდნენ კომპლექსური ბრიგადები, რომლებსაც ამხ. ქემოკლიძე, გოგილაშვილი და ხიზანაშვილი ხელმძღვანელობენ. ორასოვან საამქროებად ითვლებიან აგრეთვე მექანიკური, საიარაღო, საქვაბე და შემდუღებელი საამქროები.

დიდი გამათავისუფლებელი ომის დღეებში განსაკუთრებით დაწინაურდა მრანდავი ამხ. პ. პიჟენკო. მან ბელადის მოწოდების საპასუხოდ კიდევ უფრო აამაღლა შრომის ნაყოფიერება. იგი ყოველთვის სამ-ოთხ ნორმას ასრულებს. მან 20 ნოემბერს 35 საათისა და 30 წუთის სამუშაო 8 საათში გააკეთა და გეგმა 443,7 პროცენტით შეასრულა. 300-400 პროცენტით ასრულებენ დავალებებს ხარატები ამხ. ს. ცერაძე, ივ. ანუსი, ს. სანაძე, ზეინკლები ამხ. გ. ტატუაშვილი, გ. კოვალკოვი და სხვები.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კრივონოსელ-ლუნინელმა მემანქანეებმა. ახალგაზრდა მემანქანემ, კომუნისტმა ამხ. აკ. ლომსაძემ, რომელიც უკანასკნელ დღეებში დააწინაურეს მემანქანედ, 19 ნოემბერს მატარებელი 15 წუთით ადრე მიიყვანა დანიშნულ ადგილზე, გაადიდა ტექნიკური სიჩქარე და 756 კილოგრამი საწვავი დაზოგა. ახლად დაწინაურებულმა კომუნისტმა მემანქანემ ამხ. გ. ქიტუაშვილმა ერთ რეისზე 585 კილოგრამი საწვავი დაზოგა, მატარებელი 20 წუთით ადრე მიიყვანა. ამ დღეებში დიდძალი საწვავი მასალა დაზოგეს მემანქანეებმა ამხ. ილ. მასხულიძემ, ნ. ნოზაძემ, გრ. ელბაქიძემ, დ. ომიაძემ.

დეპოს კოლექტივი ახლა დაძაბულად მუშაობს, რათა 15 დეკემბრისათვის შეასრულოს ორთქლმავლების რემონტის წლიური გეგმა.

ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ 1.027 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ

თბილისის სორთქლმავლო დეპოს დამამზადებელი საამქროს სტახანოველი ზეინკალი ამხ. ბ. კოვალკოვი სამამულო ომის დღეებში გაათკეცებული ენერგიით მუშაობს, ყველაფერს აკეთებს ფრონტისათვის, ვერაგი მტრის განადგურებისათვის. მან ამ დღეებში დღიური დავალება 1,027 პროცენტით შეასრულა, 82 საათის სამუშაო 8 საათში გააკეთა.

პატრიოტი ზეინკალი ამხ. კოვალკოვი ახალი საგმირო საქმეებით უპასუხებს დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მოწოდებას. იგი ყოველდღიურ გეგმას 500-600 პროცენტით ასრულებს.

ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲔᲜ

ბათუმი („კომუნისტის" კორ.). ბათუმის მომთუთიებელი ქარხნის კოლექტივი წარმატებით მუშაობს, რათა ახალი გამარჯვებებით შეხვდეს სტალინური კონსტიტუციის დღეს. აქ იბრძვიან იმისათვის, რომ ნოემბერში შეასრულონ წლიური გეგმა. საამქრომ, რომელსაც ამხ. ივ. რაზოვი ხელმძღვანელობს, ოც დღეში 150 პროცენტით შეასრულა მეოთხე კვარტალის გეგმა. ამხ. ზ. მოლაკმაძის მომთუთიებელი ბრიგადა დღეში ნორმანახევარს იძლევა, მწნეხავი ამხ. ვ. პოტაპენკო დავალებას 240 პროცენტით ასრულებს. წუნმდებელი ამხ. სიდელნიკოვა ახლა ორი კაცის სამუშაოს ასრულებს. თავდადებული მუშაობით ორასოვნები გახდნენ მომთუთიებლები ამხ. სტეფანიუკი და სტაილო, შემდუღებლები ამხ. ქელტოპიატოვა, ლუგოვენკო, კორობკინა და სხვ.

ს. ჟურაშვილი

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲗ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐᲡ

სოხუმი. ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის მოწოდების პასუხად კოლმეურნეები დაუღალავად მუშაობენ, რომ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მისცენ მეტი სურსათი, მეტი ნედლეული მრეწველობისათვის. ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობებმა თამბაქოს ჩაბარების ოქტომბრისა და ნოემბრის გეგმა ვადამდე შეასრულეს. კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობამ იკისრა თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულოს.

* * *

სტალინირი. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეებმა თავდაცვის სახალხო ფონდში შეიტანეს 550 ცენტნერი მარცვლეული, 665 ცენტნერი ხორცი, 5 ტონა ხილი, 660 კილოგრამი მატყლი და სხვა პროდუქტები.

* * *

ქობულეთი. 5 დეკემბერს, სტალინური კონსტიტუციის დღეს, ქობულეთის მტს-ი ახალი საწარმოო გამარჯვებებით ხვდება. 1941 წლის საწარმოო გეგმა მტს-მა 105,9 პროცენტით შეასრულა და 4.542 მანეთის საწვავ-საცხები მასალა დაზოგა. ენერგიულად შეუდგნენ ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტს. რემონტზე გაწეულია 11.600 მანეთის ეკონომია.

მ. ნაცვლიშვილი

* * *

სიღნაღი („კომუნისტის" კორ.). ულიანოვკის მტს-ში გაძლიერებული ტემპებით სწარმოებს ტრაქტორების რემონტი. შეკეთებულია 4 ტრაქტორი. ალაზნის მტს-მა სამი ტრაქტორი შეაკეთა.

* * *

ზესტაფონი („კომუნისტის" კორ.). ზესტაფონის მტს-ში ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტზე ფართოდ იყენებენ შინარეზერვებს. იმ ნაწილებს, რომლებიც წინათ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან შემოჰქონდათ, ახლა მტს-შიამზადებენ. მაგალითად, აქ ამზადებენ ტრაქტორის შემაერთებელი მუფტის ცალღუს, ვანჩეებს, ქანჩებს და სხვ.

ს. მერკვილაძე

ხარაგოული. ორჯონიკიძის რაიონის სოფ. ლაშის კოლმეურნეობა „იმედმა" ვადამდე შეასრულა სახელმწიფო ვალდებულებანი. სოფ. ბორის კიროვის სახელობის, თეთრი წყაროს 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობებმა და სოფ. ლახუნდარის კოლმეურნეობა „ძმურმა კავშირმა" წარმატებით შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების გეგმები.

* * *

ქარელი. ქარელის მტს-მა ტრაქტორების რემონტის ნოემბრის გეგმა ვადამდე ათი დღით ადრე შეასრულა. შეკეთებულია 8 ტრაქტორი. რუისის მტს-ში შეკეთებულია 11 ტრაქტორი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6 ტრაქტორისა.

* * *

ბორჩალო. რაიონმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარების გეგმები. მაგალითად, კარტოფილის ჩაბარების წლიური გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით, აბრეშუმის პარკისა—131 პროცენტით.

* * *

გურჯაანი. რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა საშემოდგომო თესვის გეგმის შესრულების შემდეგ დასთესეს თავდაცვის საკოლმეურნეო ჰექტარები. სოფ. ურიათუბნის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ გეგმის გადამეტებით დასთესა 12 ჰექტარი, კოლმეურნეობა „წითელმა უბანმა" 30 ჰექტარი, კოლმეურნეობა „წითელმა ვარსკვლავმა" 10 ჰექტარი, რომლის მოსავალი მთლიანად გადაირიცხება თავდაცვის სახალხო ფონდში.

ს. შაქარაშვილი

* * *

აბაშა. აბაშის მტს-მა გადამეტებით შეასრულა ტრაქტორების რემონტის ოქტომბერ-ნოემბრის გეგმები. მტს-თან მოწყობილია ტრაქტორების ნაწილების აღმდგენი საამქრო.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲚᲘᲑᲘᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ლონდონი, 27 ნოემბერი (საკდესი). გაზეთები „დეილი-მეილი" და „იორკშირ პოსტი", რომლებიც კომენტარს უკეთებენ ლიბიაში საომარი მოქმედების განვითარებას, აღნიშნავენ, რომ ბრძოლა ხანგრძლივი და მძიმე იქნება.

გაზეთი „იორკშირ პოსტი" აღნიშნავს, რომ ლიბიაში ინგლისელთა ჯარების თავდაპირველი შეტევა, როგორც ჩერჩილმა განმარტა, სტრატეგიული დაზვერვა იყო, რაც წინ უძღოდა მთავარ ბრძოლას. პირველი ამოცანა იყო მტერი ნაპირისაკენ მიგვემწყვდია, მოგვეშალა მისი კომუნიკაციები და საშუალება არ მიგვეცა ბენგაზისაკენ დაიხია. ეს ამოცანა შესრულებულია. მეორე ამოცანაა დავაგიწროოთ ალყის რკალი მანამდე, სანამ მტერს სრულიად არ მოვსპობთ ან არ დავანებებთ.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" ქაიროელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ, სამხედრო წრეების აზრით, უდიდესი სატანკო ბრძოლა დაძაბულობის უმაღლეს წერტილს უახლოვდება. იმ დროს, როდესაც ინგლისელთა ჯარების მომარაგება დამაკმაყოფილებლად ხორციელდება, გერმანელებს მარაგი ელევათ. „მთელი ბრძოლის ბედს სწყვეტს" სიდი-რეზეხი, სადაც გერმანელები ცდილობენ დაიდ შეინარჩუნონ გასასვლელი სამხრეთიდან შეტევა ინგლისელთა მოტომექანიზებულ კოლონებსა და ინგლისის ჯარის იმ ნაწილებს შორის, რომლებიც ტობრუკიდან უტევენ. როგორც სჩანს, გერმანელები აქ თავს მოუყრიან მთელ თავიანთ რეზერვებს, რაც კი მოეპოვებათ. თუ გერმანელებმა სიდი-რეზეხისათვის წარმოებული ბრძოლა წააგეს, ისინი მთელ ბრძოლას წააგებენ. მდგომარეობას არსებითად ვერ შესცვლის სამხრეთში მოპოვებული ვერავითარი წარმატება. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ინგლისელთა ჯარებს შორის გერმანელების „გასასვლელი" განუწყვეტლივ ვიწროვდება და ამჟამად მისი სიგანე მხოლოდ 3 მილს უდრის. ამ ვიწრო გასასვლელს ინგლისის არტილერია ორი მხრიდან უშენს.

გაზეთ „ნიუს ქრონიკლის" ქაიროელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანელები ცდილობენ გააქარწყლონ ინგლისის ტანკების საჭურვლის უდავო უპირატესობა და ამ მიზნით იყენებენ მოძრავ არტილერიას. ისინი ზოგიერთ მძიმე ტანკს ჯავშანს ხსნიან და ტანკების სდგამენ ქვემეხებს ამ იმედით, რომ ტანკის ცეცხლითი სიმძლავრის გადიდება აანაზღაურებს დასაცავი ჯავშნის დაკარგვას.

გაზეთ „ტაიმსის" ქაიროელი კორესპონდენტი სწერს, რომ მოწინააღმდეგის ავიაცია ხელ უფროდაუფრო აძლიერებს მოქმედებას, მაგრამ მტრის თვითმფრინავები ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ ბრძოლის რაიონსა და ინგლისელთა ზურგში შესვლას. გერმანელები ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ ინგლისის ავიაგამანადგურებლებსა და ბომბდამშენებს, რომლებმაც ამის მიუხედავად, სრულიად მოშალეს მტრის კომუნიკაციები და მომარაგების ბაზები, იერიში მიიტანეს მის ტრანსპორტებსა და საწყობებზე. შეტევის პირველი დღეების მნიშვნელოვანმა წარმატებამ ინგლისელებს დიდი უპირატესობანი მოუპოვა, რომლებითაც მათ დაუყოვნებლივ ისარგებლეს.

ᲝᲛᲘ ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲣᲐ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ

ლონდონი, 27 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს საზღვაო მიმომხილველი იუწყება, რომ ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტი დიდ როლს ასრულებს ლიბიაში ამჟამად წარმოებულ ბრძოლაში და რომ ამავე დროს მან შესძლო უფრო საგრძნობი ზარალი მიეყენებინა იტალიის ხმელთაშუა ზღვის ფლოტისათვის. ლიბიაში შეტევის დაწყებამდე იტალიის ფლოტი შესდგებოდა 5 სახაზო გემისაგან, 8-დუიმიანი ქვემეხებით შეიარაღებული 4 კრეისერისაგან, 6-დუიმიანი ქვემეხებით შეიარაღებული 10 კრეისერისაგან, 37 საესკადრო ნაღმოსნისა და 45 ტორპედიანი კატერისაგან. გარდა ამისა, იტალიის 80-მდე წყალქვეშა ნავი ამჟამად გამოყენებულია ინგლისის საზღვაო ფლოტთან საბრძოლველად. ლიბიაში ოპერაციის დასაწყისიდან ჩაძირულია იტალიის 7 სავაჭრო გემი და ტრანსპორტი ჯარებითურთ. 1 კრეისერსა და საესკადრო ნაღმოსანზე მიტანილ იქნა იერიში, და ისინიც, ალბათ, ჩაიძირნენ. გარდა ამისა, ცეცხლი წაუკიდეს იტალიის ორანძა ნავს.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ ᲯᲐᲕᲨᲐᲜᲡᲐᲢᲐᲜᲙᲝ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲐ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ ინგლისში კანადის სავსებით შეიარაღებული ჯავშანსატანკო დივიზია ჩავიდა.

კანადის მთავრობამ განაცხადა, რომ დივიზია ინგლისში ჩავიდა ჯარებით სავსე გემების ყველაზე დიდი ქარავნით, როგორიც კი კანადიდან ინგლისში როდისმე გამგზავრებულა. ამავე დროს ინგლისში ჩავიდა დიდი ჯგუფი ინგლისელი მფრინავებისა, რომლებიც კანადის საავიაციო სკოლებში სწავლობდნენ. ამ ქარავნითვე ჩავიდა ავიაციის ამერიკელ სპეციალისტთა ჯგუფი.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ლონდონი, 27 ნოემბერი (საკდესი). 25 ნოემბერს ინგლისის ბომბდამშენები და ავიაგამანადგურებლები აქტიურად მოქმედებდნენ ლიბიის ფრონტის ყველა უბანზე. ინგლისის თვითმფრინავებმა წარმატებით დაბომბეს მტრის ტანკები და ავტოტრანსპორტი შეფერზენისა და სიდი-ომარის რაიონებში. დაბომბვამ ბევრგან ხანძარი გამოიწვია. სიდი-რეზეხის თავზე საჰაერო ბრძოლა გაიმართა, რომლის დროსაც ჩამოგდებულია მტრის 2 თვითმფრინავი—„კრ-42" და „მესერშმიტი-110". 5 სხვა „მესერშმიტი" მოსპობილ იქნა 24 ნოემბერს სიდი-ომარის თავზე მომხდარ საჰაერო ბრძოლაში. ალ-დაბის აეროდრომზე ინგლისელთა თვითმფრინავების თავდასხმის დროს მოსპობილია სატრანსპორტო თვითმფრინავი. დაზიანებულია იტალიელთა რამდენიმე თვითმფრინავი „კრ-42" და „კაპრონი", გარდა ამისა მოსპობილია დიდი ტანკერი ბენზინითურთ.

ინგლისის ავიაციამ იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის ავტოცისტერნებისა და საბარგულების კოლონაზე ბარკის სამხრეთით. დაბომბვის შემდეგ რამდენიმე ავტოცისტერნს ცეცხლი გაუჩნდა და მრავალი საწვავიანი ავტოცისტერნი და საბარგული დაზიანდა.

25 ნოემბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენები კვლავ დაესხნენ თავს ბენგაზის ნავსადგურს. დაბომბვამ ცენტრალურ მოლოში ხანძარი გამოიწვია. დაბომბილ იქნა აგრეთვე ბენინისა და ბერკის აეროდრომები. ამასთან მიწაზე მოსპობილია 2 თვითმფრინავი. 23 ნოემბერს ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილში ჩამოგდებულია „მესერშმიტი-110".

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲐᲤᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ

სტამბოლი, 27 ნოემბერი (საკდესი). სერბიაში პარტიზანების ბრძოლა ოკუპანტებთან შეუსუსტებელი ძალით გრძელდება. არ არის არც ერთი ოლქი, სადაც, ბელგრადის ცნობების მიხედვითაც კი, უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში გააფთრებული ბრძოლა არა ყოფილიყო. 19 ნოემბერს სალამის ბელგრადის რადიომ ცნობა გამოაქვეყნა, რომ ვალიევოს რაიონში გააფთრებული ბრძოლაა. სისხლისმღვრელი ბრძოლაა ქალაქ რაჩკამიც.

როგორც ცნობილია, ამ რაიონში აჯანყებულთა მოძრაობას მეთაურობს პოლკოვნიკი დრაჟა მიხაილოვიჩი, რომელსაც იმაზე ცოტა ხნით ადრე, სანამ გერმანია ამა წლის გაზაფხულზე იუგოსლავიას თავს დაესხმოდა, 40-ე პოლკის მეთაურის თანამდებობა ეკავა. გერმანიის თავდასხმის დროს მიხაილოვიჩი ქალაქ მოსტარში იმყოფებოდა. იგი სათავეში ჩაუდგა იმ ჯარისკაცთა და ოფიცერთა რაზმებს, რომლებმაც გადასწყვიტეს განეგრძოთ ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ. მიხაილოვიჩს მხარს უჭერენ სერბიელი პატრიოტები.

* * *

ჟენევა, 28 ნოემბერი (საკდესი). ბელგრადის გაზეთმა „ობნოვამ" ცნობა გამოაქვეყნა, რომ ნედიჩის ჯარები 5 საათის განმავლობაში ეწეოდნენ ბრძოლას, რათა ხელში ჩაეგდოთ დაბა რუდნიკი, სადაც პარტიზანები იმყოფებოდნენ. „ობნოვა" იუწყება აგრეთვე, რომ გააფთრებული ბრძოლაა ქალაქ კუჩიევოსთან.

ᲒᲐᲬᲕᲔᲕᲐ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲚᲝᲢᲨᲘ

შანხაი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბატავიიდან იუწყება, ჰოლანდიის ინდოეთის საზღვაო ფლოტის წარმომადგენლებმა სამხრეთ აფრიკაში დაიწყეს მოხალისეთა შეგროვება. შეგროვება ხდება არა მარტო ჰოლანდიის ინდოეთის ფლოტისათვის, არამედ ჰოლანდიის იმ საზღვაო ძალებისათვისაც, რომლებიც ინგლისში იმყოფებიან.

რეიტერის სააგენტოს სინგაპურელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მალაიასა და შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებმა ჰოლანდიელებმა 19-დან 37 წლის ასაკამდე ცნობა მიიღეს, რომ მათ იწვევენ ჰოლანდიის იმ ფლოტის სამხედრო სამსახურში, რომელიც ინგლისში იმყოფება.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ ᲛᲬᲐᲠᲔᲓ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲡ

ჟენევა (საკდესი). როგორც უკვე გამოქვეყნებული იყო, გერმანიის პრესამ, ელვისებური შეტევის გეგმების ჩაშლასთან დაკავშირებით, უკანასკნელ დროს შესცვალა ტონი და, გამარჯვების ჩვეულებრივი რელაციების ნაცვლად, ბევრსა სწერს სსრ კავშირის წინააღმდეგობის წარმოების სიძნელეებზე. ახლა სხვა ენით ალაპარაკდა ბერლინის რადიოც. მაგალითად, გუშინ ბერლინის რადიო გადმოგვცემდა:

გერმანიის ჯარებს სიძნელეების ძაძლევა უხდებოდა ბერეზინის, დნეპრისა და რუსეთის სხვა მდინარეების გადალახვის დროს. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ წაგვწყდომიაროთ ისეთ სიძნელეებს, როგორსაც ამ პატარა მდინარეზე გასვლის დროს წავაწყდით, რომელიც მოსკოვს დასავლეთით ჩაუდის. როდესაც შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ შევძლით მტკიცედ მოგვეკიდებინა ფეხი მეორე ნაპირას, ჩვენ საბჭოთა არტილერიის განუწყვეტელ ცეცხლქვეშ მოვექეცით. მოწინავე ხაზებზე მყოფი ჩვენი ჯარისკაცები თავის სიმაგრეებში ისხდნენ და დიდი სიცივეების გამო იქიდან გამოსვლის საშუალება არა ჰქონდათ. საჭმელს მხოლოდ ღამღამობით ვიღებდით. პირის დაბანა მხოლოდ ღამით შეგვეძლო და ისიც მხოლოდ მას შემდეგ, რაც თოვლი მოვიდა, პირის გაპარსვაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება. ფრონტის მოსკოვის უბანზე ყველანი—მოხუცებიც და ახალგაზრდებიც—გაბუსუნებული დადიან. საბჭოთა მფრინავები განუწყვეტლივ გვაწუხებენ. ჩვენს წინააღმდეგ გამოდიან საბჭოთა ქვეითი ჯარის ძლიერი შენაერთები. ისინი ტანკებსაც იყენებენ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲮᲨᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ „ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ" ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲡ

სტამბოლი (საკდესი). სტამბოლის ჟურნალ „რეალიტეს" მოჰყავს ახალი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ძლიერდება იტალიის ეკონომიური ჩაზუთვა. ინგლისის მიერ მოწყობილი ბლოკადის შედეგად იტალიამ დაკარგა თავისი იმპორტის თითქმის ნახევარი. იტალიის ვაჭრობა შეუძლია მხოლოდ ღერძის სახელმწიფოებთან, მაგრამ ამ ქვეყნებს არ შეუძლიათ მისცენ მას არც ბამბა, არც კაუჩუკი, არც ლითონი იმ რაოდენობით, რაც მას სჭირდება.

იტალიის მიერ შვეციასთან, ბულგარეთთან და რუმინეთთან დადებული ხელშეკრულებანი ქაღალდზე დარჩა, ვინაიდან გერმანიას ამ ქვეყნებიდან გააქვს ყველაფერი, რისი გატანაც კი შეიძლება. ამას წინათ რუმინეთმა უარი უთხრა იტალიას ნავთის მიწოდებაზე, რასაც იგი ქაღალდისა და ბამბის ქსოვილის სამაგიეროდ აძლევდა. უშედეგოდ დამთავრდა აგრეთვე იტალიის ცდა მიეღო ესპანეთიდან ზოგიერთი სახის სურსათი. იტალიამ ვერ შესძლო მიეღო მისთვის საჭირო ფოსფატები საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკიდან, ვინაიდან გერმანელებმა გაიტანეს მთელი გარდამეტი ფოსფატი ისე, რომ იტალიისათვის არაფერი დასტოვეს. გერმანია იტალიისაგან მოითხოვს, რომ მან დაუყოვნებლივ გადაიხადოს მისთვის მიწოდებული ყოველი ზარბაზნის საფასური. იყლისში იტალიასა და გერმანიას შორის დაიდო სპეციალური ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო იმ საჭურვლის საფასურის გადახდის ოდენობა, რაც გერმანიამ მიაწოდა იტალიის ჯარის ნაწილებს, რომლებსაც აღმოსავლეთის ფრონტზე გასაგზავნად ადგენენ. მაგრამ რადგან იტალიას გადახდის საშუალება არა ჰქონდა, რამდენიმე დღის შემდეგ ეს ხელშეკრულება შეიცვალა იმგვარად, რომ იტალია ვალდებულია, მის მიერ გერმანული საჭურვლის ანაზღაურების წესით, იკისროს გერმანიის ჯარის იმ ნაწილების გამოკვება, რომლებიც ლიბიაში იმყოფებიან.

ჟურნალი ადასტურებს, რომ ევროპის გარდაქმნის გერმანულ გეგმაში იტალიას დათმობილი აქვს იაფი მუშა-ხელის მიმწოდებლის როლი. მიმდინარე წელს თითქმის ნახევარი მილიონი იტალიელი გაგზავნეს გერმანიაში სხვადასხვა სამუშაოზე.

ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲨᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲝᲑᲐᲐ

სტოკჰოლმი (საკდესი). ამ დღეებში გაზეთმა „ბერლინერ ბერზენცაიტუნგმა" ფარდა ახადა ფინეთის ნამდვილ მდგომარეობას. გაზეთი აღწერს ფინეთის მოსახლეობის ჭეშმარიტად ბნელეთ მოცულ არსებობას და აღიარებს საყურადღებო გარემოებას: „არცერთი მეომარი ქვეყნის ზურგში ადამიანთა ისეთი ნაკლებობა არ არის, როგორც ფინეთში. ადვილი გასაგებია რას მოასწავებს ეს, როდესაც ხალხი საშინლად დაღლილია შარშანდელი ზამთრის ლაშქრობით. ახლა იგი მთელ თავის ძალას სძაბავს მეორე უფრო ხანგრძლივი ომისათვის. დამახასიათებელია, რომ ფასების კომისარიატის შექმნა, რაც გადაუდებლად საჭიროა, ჭიანურდება იმის გამო, რომ ექსპერტები ფრონტზე იმყოფებიან, და მათი განთავისუფლება არ შეიძლება, რადგან ისინი საჭირონი არიან როგორც ჯარისკაცები". ცნობილი ნაცისტური ორგანოს ეს მწარე გულახდილობა უეჭველად ამტკიცებს, რომ ადამიანთა რეზერვების საქმე ჰიტლერელებს სულ უფროდაუფრო ცუდად მიუდით.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲢᲝᲑᲠᲣᲙᲗᲐᲜ

ლონდონი, 27 ნოემბერი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ 27 ნოემბერს დილით ახალი ზელანდიის ჯარებმა და ინგლისის ტანკებმა კონტაქტი დაამყარეს ტობრუკის გარნიზონის მოწინავე ნაწილებთან.

ᲰᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ვაშინგტონი. 26 ნოემბერს ჰელს საუბარი ჰქონდა ნომურასა და კურუსუსთან. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ჰელმა იაპონიის წარმომადგენლებს განსახილველად გადასცა დოკუმენტი, დაფუძნებული გარკვეულ ფუნდამენტალურ პრინციპებზე, რომელთა შესახებაც ამერიკის შეერთებულ შტატებს არაერთხელ განუცხადებია საჯაროდ. სახელმწიფო დეპარტამენტმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ჰელის მიერ იაპონიის წარმომადგენლებისათვის გადაცემული დოკუმენტი კულმინაციური პუნქტია იმ თათბირებისა, რომლებიც უკანასკნელი კვირეების განმავლობაში შესდგა. საჭიროა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული დოკუმენტი გამომდინარეობს მთელი რიგი ძირითადი პრინციპებიდან, რომლებსაც კორესპონდენტები უნდა იცნობდნენ, რამდენადაც ამერიკის შეერთებულ შტატებს არაერთხელ განუცხადებია ამ პრინციპების შესახებ. ოფიციალურ განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ლაპარაკია ძირითად პრინციპებზე. კურუსუმ და ნომურამ უარი განაცხადეს რაიმე ეთქვათ პრესის წარმომადგენლებისათვის ამის შესახებ. იაპონიის წარმომადგენლებთან თათბირის წინ ჰელი ესაუბრა რუზველტს. ამაზე უფრო ადრე რუზველტმა თავისთან გაიწვია ჩინეთის ელჩი ხუ-ში და სუნ-ძივენი.

ᲞᲠᲝᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲨᲘ

სტამბოლი. ბულგარეთში პროგერმანული ელემენტები, რომლებიც მხარს უჭერენ ბულგარეთის მთავრობის ახლანდელ ანტისაბჭოთა პოლიტიკას, ბულგარელი ხალხის ფართო ფენების ზიზღისა და სიძულვილის საგანი არიან. თვით ბულგარული გაზეთი „სლოვო" იძულებული იყო ეღიარებინა, რომ უკანასკნელ დროს გახშირდა მუქარის წერილების გზავნა იმათ სახელზე, ვინც ცუდად იხსენიებს თანამედროვე რუსეთს. გაზეთი უჩივის იმას, რომ ამ წერილების ავტორთა მსგავსად განწყობილი ხალხი არის ბულგარეთის მოსახლეობის ყველა ფენებში, და უხეშად ილაშქრებს მათ წინააღმდეგ და ემუქრება მათ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲡ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲝᲡᲞᲝᲡ ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ

ვაშინგტონი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში რუზველტის მდივანმა ერლიმ განაცხადა, რომ, ამერიკის დაზვერვისაგან მიღებული ცნობების თანახმად, გერმანიას განზრახვა აქვს მოსპოს ბელგრადი ისევე, როგორც მოსპო ქალაქი შაბაცი, იმ საფუძველზე, რომ ბელგრადი გამოყენებულია სერბიელ პარტიზანთა ბაზად. ერლის სიტყვით, გერმანელებს განზრახვა აქვთ გარს შემოერტყან ბელგრადს და მოსპონ იგი არტილერიის ცეცხლითა და საჰაერო ბომბარდირებით.

ᲒᲐᲠᲘᲑᲐᲚᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ნიუ-იორკი. როგორც ამერიკის პრესა მექსიკოდან იუწყება, მექსიკაში მცხოვრებმა მშრომელმა იტალიელებმა იტალიის თავისუფლებისათვის საბრძოლველად შექმნეს გარიბალდის სახელობის საერთაშორისო კავშირი. ახალი ორგანიზაცია თავის მანიფესტში პირობას სდებს, რომ ყოველმხრივ დახმარებას აღმოუჩენს საბჭოთა კავშირს მის ბრძოლაში ნაციზმის წინააღმდეგ. მექსიკის მთელმა რიგმა თვალსაჩინო პროგრესიულმა მოღვაწეებმა უკვე განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ ამ ორგანიზაციას. მათ შორის არის მექსიკის ყოფილი პრეზიდენტი კარდენასი, ლათინური ამერიკის მუშათა კონფედერაციის ხელმძღვანელი ლომბარდო ტოლედანო და მრავალი სხვა.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲠᲔᲨᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ

ნიუ-იორკი (საკდესი). გერმანელები პოლონელ გლეხებს ართმევენ მთელ მარცვლეულს, რომელიც განკუთვნილი იყო საგაზაფხულო თესვისათვის. ეს იმით აიხსნება, რომ მეტი არა ჰყოფნით გერმანელი ჯარისკაცებისათვის, რომლებიც აღმოსავლეთის ფრონტზე მიემართებიან პოლონეთზე გამოვლით. თვით პოლონეთში მოსახლეობა შიმშილობს. ქალაქ კროსნოში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დემონსტრაცია გამართეს და პურს მოითხოვდნენ გერმანელი ოკუპანტებისაგან. გერმანელმა ჯარისკაცებმა დახვრიტეს 17 დემონსტრანტი.

გერმანელები ყოველდღიურად 800 კაცს ასახლებენ პოლონეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებიდან და იძულებით მძიმე სამუშაოზე ჰგზავნიან გერმანიაში. ოფიციალური ცნობის მიხედვით, ყოველდღიურად ხვრეტენ 8-10 პოლონელს. გარდა ამისა, მრავალი პოლონელი იღუპება საკონცენტრაციო ბანაკებში, სადაც გერმანელი ზედამხედველნი მეტისმეტი უღიერებით ეპყრობიან მათ.

გერმანელი ოკუპანტები უკანასკნელ სისხლს სწოვენ გაღატაკებულ პოლონელ მოსახლეობას. საკმარისია ითქვას, რომ მარტო მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ ნახევარში ეგრეთწოდებული საგენერალგუბერნატოროს ოფიციალური შემოსავალი 310 მილიონ ზლოტს უდრიდა, მთელი წინა წლის შემოსავალი კი 391 მილიონ ზლოტს შეადგენდა. გადასახადს განუწყვეტლივ ადიდებენ.

ᲩᲮᲣᲑᲘ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ ᲕᲐᲡᲐᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

სტამბოლი (საკდესი). კონფლიქტი რუმინეთსა და უნგრეთს შორის ტრანსილვანიის გამო იმდენად მწვავე ხასიათს იღებს, რომ შესაძლოა შეიარაღებული შეტაკებაც მოხდეს გერმანიის ამ ორ მოკავშირეს შორის. რუმინული პრესა აძლიერებს კამპანიას ტრანსილვანიის დაბრუნებისათვის. გაზეთი „უნივერსულ" სწერს: „ჩვენი ძმები უცხოელთა ბატონობის ქვეშ იმყოფებიან. ჩვენ არასოდეს არ აგვილია ხელი ჩვენს უფლებებზე, და ჩვენი დუმილი სისუსტის ნიშნად როდი უნდა მიიღონ".

ამას წინათ ბუქარესტში მიიღეს პროტესტი უნგრეთის მთავრობისა, რომელიც რუმინეთის ხელისუფალთ ბრალსა სდებს იმაში, რომ იგი აქეზებს ტრანსილვანიის მოსახლეობას, რათა უნგრეთის ხელისუფლებას არ დაემორჩილოს. ამ პროტესტის საბაბი გახდა შეიარაღებული შეტაკება რუმინელ გლეხთა დიდ ჯგუფსა და ტრანსილვანიის ადგილობრივ უნგრელ ხელისუფალთა შორის.

ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲯᲐ ᲞᲠᲐᲦᲐᲨᲘ

ჟენევა (საკდესი). გუშინ პრაღის რადიომ ცნობა გამოაქვეყნა იმის შესახებ, რომ სისრულეში მოყვანილია პროტექტორატის სამი მოქალაქისათვის პრაღის სამხედრო სასამართლოს მიერ გამოტანილი და პროტექტორ ჰაიდრიხის მიერ დამტკიცებული სიკვდილით დასჯის განაჩენი; მათ ბრალდებოდათ „საბოტაჟი და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა".

ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲖᲔ

ლონდონი (საკდესი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ იტალიის ბევრ ნავსადგურში მთელი რიგი სავაჭრო გემების ეკიპაჟები გაიფიცნენ და უარი განაცხადეს დატვირთონ საომარი მასალა.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

27 ნოემბერს, თბილისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში, შესდგა მეცნიერ მუშაკთა საერთო-საქალაქო თათბირი, რომელიც მიეძღვნა დიდი სამამულო ომის პირობებში ადგილობრივი რესურსების შესწავლის, გამოყენებისა და წარმოებაში უახლესი ტექნიკის დანერგვის საკითხებს.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა კავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ვ. იმედაძემ.

„საქართველოს სსრ ადგილობრივი საწარმოო ძალების შესწავლა-გამოყენებისა და საქართველოს მეცნიერ მუშაკთა ამოცანების შესახებ" მოხსენებები გააკეთეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ქ. თარგამაძემ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ საწარმოო ძალების შესწავლის საბჭოს თავმჯდომარემ აკად. ა. თვალჭრელიძემ.

მომხსენებლებმა დაწვრილებით ილაპარაკეს იმ დიდ და სასარგებლო მუშაობაზე, რასაც საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებანი სამამულო ომის მოთხოვნებთან დაკავშირებით ეწევიან. მათ აღნიშნეს, რომ ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა, ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიულმა ინსტიტუტმა, აგრეთვე ქიმიის, ფიზიოლოგიის, ნაგებობათა სამეცნიერო-საგამოკვლევო და ქიმიურ-ფარმაცევტიულმა ინსტიტუტებმა დიდი სამამულო ომის დღეებში წამოაყენეს და გადასჭრეს მეტად საინტერესო პრობლემები, რომლებიც ემსახურებიან ფრონტის ინტერესებს, ვერაგი მტრის განადგურების ამოცანას. დამუშავებულია ან დამუშავების პროცესშია ზოგიერთი ძრავების ბენზინიდან ნავთზე გადაყვანის, ადგილობრივი მინერალური საწვავის გამოყენების, ტრაქტორების რადიატორთა ახალი წესით რემონტის, მოსავლიანობის გადიდების, ნავთის პროდუქტების გაწმენდის, ასანთის წარმოების, ახალი სამკურნალო პრეპარატების დამზადების, დაჭრილთა მკურნალობის მეთოდის გაუმჯობესების, გოგირდმჟავის, იოდის, ბრომის, სოდის და სხვათა მიღების პრობლემები.

მოხსენებათა გამო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მეცნიერული მსჯელობა. აკად. ზავრიევმა თათბირის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, აგრეთვე გამომგონებლებთან და რაციონალიზატორებთან მუშაობის საკითხებს.

აკად. ნ. კეცხოველმა და პროფ. ალ. დიდებულიძემ თათბირზე დააყენეს საკითხი, რათა შეიქმნას ერთიანი, დამგეგმავი, ოპერატიული ორგანიზაცია, რომელიც კონკრეტულად უხელმძღვანელებს აქტუალური, საწრაფო პრობლემების გადაწყვეტას.

თათბირზე სიტყვები წარმოსთქვეს და მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები წამოაყენეს აგრეთვე პროფესორებმა: ზვიაგინცევმა, შჩერბაკოვმა, ტერ-ხაჩატუროვმა, სოსნოვსკიმ, ციციშვილმა, გედევანიშვილმა, ხოფერიამ, საქართველოს სსრ ხალხოვი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. მამუჩაშვილმა, დოცენტებმა: შენგელიაშვილმა, მჭედლიშვილმა, ინჟ. ი. ყიფშიძემ და სხვ. თათბირმა გამოჰყო კომისია წამოყენებულ წინადადებათა საფუძველზე კონკრეტულ ღონისძიებათა დასამუშავებლად.

ᲑᲐᲥᲢᲔᲠᲘᲝᲤᲐᲒᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ, ᲛᲘᲙᲠᲝᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲥᲢᲔᲠᲘᲝᲤᲐᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠ ᲐᲛᲮ. Ნ. ᲑᲐᲠᲙᲐᲚᲐᲘᲐᲡᲗᲐᲜ

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ვითარებაში მეტად დიდმნიშვნელოვანი ამოცანების შესრულება აქვს დაკისრებული საქართველოს სსრ ჯანსახკომის ეპიდემიოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ბაქტერიოფაგის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. ინსტიტუტი მოწოდებულია სამამულო ომის საჭიროებისათვის დაამზადოს მაღალსამკურნალო თვისებიანი სხვადასხვა ბიოპრეპარატები—სხვადასხვა ფაგები (ბაქტერიების შთანმთქმელები), შრატები, ვაქცინები და ა. შ.

როგორ მუშაობს ინსტიტუტი, როგორ ეფექტს იძლევა მის მიერ დამზადებული ბიოპრეპარატები? ამ საკითხების შესახებ ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ნ. ბარკალაიას.

— გერმანიის ფაშიზმთან დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ,—სთქვა ამხ. ნ. ბარკალაიამ,—ჩვენი ინსტიტუტის ლაბორანტთა და მეცნიერ მუშაკთა კოლექტივმა განსაკუთრებული მნიშვნელობის მიღწევები მოიპოვა. ჯერ ერთი, რომ ერთიორად და ერთისამად გავადიდეთ პროდუქციის გამოშვება, მეორე—ეძლევით მაღალსამკურნალო თვისებიან ბიოპრეპარატებს, გვაქვს უკვე განხორციელებული ახალი აღმოჩენები ამ დარგში და სავსებით უზრუნველყოფილი ვართ იმისათვის, რომ საჭირო ბიოპრეპარატები საკმაო რაოდენობით გამოვუშვათ.

ამჟამად ჩვენი ინსტიტუტი უშვებს 18-ზე მეტი სახელწოდების ბაქტერიოფაგს, დიდი რაოდენობის სხვადასხვა შრატებს, მათ შორის კრუნჩხვის, ანუ ე. წ. „ტეტანუსის" საწინააღმდეგო შრატს, მრავალგვარ ვაქცინებს (მათ შორის ე. წ. „ბცჟ"-ს ვაქცინას, რომელსაც ტუბერკულოზური დაავადებისადმი განწყობილ ბავშვებს უცრიან) და სხვ. ამას წინათ შემდგარმა ქირურგებისა და ბაქტერიოლოგების კონფერენციამ, რომელიც მოწვეული იყო ჭრილობების მიკროფლორის შესწავლის საკითხებზე, ჩვენი მიერ დამზადებულ ბიოპრეპარატებს მაღალი შეფასება მისცა. განსაკუთრებით კარგი შეფასება მიიღეს ჩვენი ინსტიტუტის მიერ გამოშვებულმა ფაგებმა.

ეპიდემიოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ბაქტერიოფაგის ინსტიტუტი სავსებით უზრუნველყოფილია მეცნიერ მუშაკთა კვალიფიციური კადრებით. ინსტიტუტის მთელი კოლექტივი შეხმატკბილებულად და თავდადებულად მუშაობს სამამულო ომის საჭიროებისათვის. ამ მუშაობაში სხვებთან ერთად უნდა აღინიშნოს ბაქტერიოლოგ დოც. ნ. აბესაძის (ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში), ექ. ნ. აბაშიძის (ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე წარმოების დარგში), ბაქტერიოფაგების განყოფილების მუშაკის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ელენე მაყაშვილის, სავაქცინო განყოფილების მუშაკების ექ. ნინო ღლონტის და ლიუდმილა კარიჰაშვილის, ანაერობული განყოფილების გამგის ვალენტინა გოგინეიშვილის, საშრატე განყოფილების გამგის დოც. ი. გიორგაძის, საკვებ-ნიადაგთა დამამზადებელი განყოფილების გამგის პროფ. ვ. უზნაძის, ახალგაზრდა სპეციალისტის ნინო სირბილაძის და სხვ. კარგი მუშაობა.

ინსტიტუტის მუშაობას დიდად უწყობენ ხელს პროფესორები—ა. წულუკიძე, დ. თოხლეიანი და ანდრიაძე, რომლებიც სწავლობენ ტრავმატული ჭრილობების ფლორაზე ფაგების გავლენის შედეგებს.

ინსტიტუტის მუშაკთა კოლექტივი ენერგიულად და დაუღალავად მუშაობს მის წინაშე მდგომი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო და საწარმოო ამოცანების შესრულებისათვის და აღფრთოვანებულია იმ შეგნებით, რომ მათ მიერ დამზადებული სხვადასხვა ბიოპრეპარატები სიცოცხლეს უნარჩუნებენ მრავალ ათასობით ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტებს, რომლებიც გმირულად ანადგურებენ ფაშისტთა ურდოებს და იცავენ დიად საბჭოთა სამშობლოს ჰიტლერელი კაციჭამიებისაგან.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1941 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებში აღდგენილი არიან:

ხარიტონ ნიკოლოზის-ძე **ვაჩეიშვილი,** რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1939 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით გარიცხული იყო კოლმეურნეობის სიმინდის მითვისებისათვის (შემდეგში გამართლებულ იქნა სასამართლო ორგანოების მიერ); კონსტანტინე გიორგის-ძე **ვაჩეიშვილი,** რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1939 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით გარიცხული იყო კოლმეურნეობის ყურძნის მითვისებისათვის (შემდეგში გამართლებულ იქნა სასამართლო ორგანოების მიერ); პეტრე სერგის-ძე **ორლოვი,** რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1941 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით გარიცხული იყო შრომის დისციპლინის დარღვევისათვის; შალვა გიორგის-ძე **გოგიჩაიშვილი,** რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1941 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით გარიცხული იყო თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფო სახსრების მითვისებისათვის (შემდეგში გამართლებულ იქნა სასამართლო ორგანოების მიერ); პეტრე არსენის-ძე **მალახაძე,** რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1941 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით გარიცხული იყო იმისათვის, რომ უარი განაცხადა მიცემულ სამუშაოზე; დიმიტრი ივანის-ძე **ლუარსაბიძე,** რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით გარიცხული იყო შრომის დისციპლინის დარღვევისათვის; იპოლიტე სიმონის-ძე **მალაზონია,** რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1939 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით გარიცხული იყო თავისი სამსახურებრივი მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულებისათვის.

ᲞᲐᲠᲢᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2852096, გაცემული გლებ კონსტანტინეს-ძე **ზანიხის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოული) რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1532108, გაცემული გიორგი სიმონის-ძე **ბაბლიძის** სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 3083282, გაცემული ნადეჟდა სიმონის-ასულ **კაკიაშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 4337561, გაცემული ჩიტო ალდგომელის-ძე **ლურსმანაშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

სახოპერა — 29 ნოემბერს — „აიდა", **რუსთაველის სახელობის** — 29 ნოემბერს — „ოტელო", 30 ნოემბერს—„პროფესორი მამლოკი", 30 ნოემბერს **დღის წარმოდგენა** — „რღვევა". **მარჯანიშვილის სახელობის**—29 ნოემბერს—„მკაცრი ქალიშვილები", 30 ნოემბერს — „მარგარიტა გოტიე", 30 ნოემბერს **დღის წარმოდგენა** — „მკაცრი ქალიშვილები". **სახ. კულტურის ქართული თეატრი** — 29 ნოემბერს — „სტუმარ - მასპინძლობა", 30 ნოემბერს—„ვეილდა". **მუსიკალური კომედიის** — 29 ნოემბერს — „ხაჯარათი", 30 ნოემბერს — „აყვავებული ბაღი". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 29 ნოემბერს — „გაიდარი" (ამინ. გარეშე), 30 ნოემბერს — „ხჯაპენის ოინები" (მე-18 ამ., დასაწყ. დღის 10 ს.), 30 ნოემბერს — „პატარა კახი" (მე-15 ამ., დასაწყ. დღის 1 ს. და 30 წ.), 30 ნოემბერს — „პატარა კახი" (მე-34 ამ. დასაწყ. საღ. 7 ს.). **გრიბოედოვის სახელობის** — 29 ნოემბერს — „დედინაცვალი".

ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახ. — „საბრძოლო კინოკრებული № 5", **ოქტომბერი** — „ზარე", **დამკვრელი** — „ქარიყლაპიას ბრძანებით", **სპარტაკი** — „თავადის ქალი მერი", **ლუქსემბურგის სახ.**—„რუსლან და ლიუდმილა", **26 კომ. სახ.** — „დუბროვსკი", **კომინტერნი** — „ცირკი". **მეცნიერება და ცოდნა**—„ეპიდემია № 5".

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲪᲘᲠᲙᲔ

მხატვრული მრავალფეროვანი პროგრამა, ფრანგული ჭიდაობის მატჩები.

29 ნოემბერს ჭიდაობენ: ოსმან აბდურახმანოვი — პლიასულია, ვსეფლოდ ხერცი — ტიურინი, გურსკი — იარკოვი.

30 ნოემბერს ჭიდაობენ: ოსმან აბდურახმანოვი — ვ. იარკოვი, სტრიჟაკი — შევჩუკი, შევჩენკო — ვსევოლოდ ხერცი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

30 ნოემბერს დღის წარმოდგენა

დაკლებულ ფასებში

კ. ბუაჩიძე

მკაცრი ქალიშვილები

კომედია 3 მოქმედებად

დასაწყისი დღის 12 ს.

სამტრედიის რკინიგზის № 13 საშუალო სკოლის ადმინისტრაცია იუწყება, რომ კვირას, 30/XI 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია

ამბაკო მიხეილის-ძე ქართველიშვილის

სამოქ. პანაშვიდი. 12548

თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია იუწყება

ლილი ნიკოლოზის-ასულ ბასილაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29/XI 7 ს. ენგელსის, 60. გამოსვენება კვირას, 30/XI, 3 ს. 12550

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგ. მდივნის—3—08—67; პ/მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის—3—81—84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო—3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების —3—73—24; პ/მგ. მორიგისა და გამომშვების—3—81—65; გამომცემლობის—3—51—81; სტამბის...

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უბ 43458